აკაკი ებრაული საკითხის შესახებ, ანუ ვინ იყო იაკობ ჩორნი?

ნანა ფრუიძე
საქართველოს უნივერსიტეტი
a-mail: nan.pruidze@ug.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.19

1871 წლის აგვისტოში გაზეთ „დროებაში“(#31) დაიბეჭდა აკაკი წერეთლის სტატია „ცხელ-ცხელი აბები“ („კარგია ჩვენი სოფელი..“.), რომელშიც ებრაული საკითხია დაყენებული და, ამასთანავე, იმ დროოისათვის აქტუალურ პრობლემას - ვაჭრობისა და კომერციის არსის არასწორ გააზრებას ეხება.

ავტორი ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებს, რომ ჩვენში არასწორადაა დაყენებული ვაჭრობის საქმე: ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი საქონელი უცხო ქვეყანაში გაიტანონ, უცხოეთიდან კი რაიმე სასარგებლო შემოიტანონ, ჩვენებული ვაჭრები და, კერძოდ, ებრაელები სრულიად უსარგებლო და უხარისხო საქონლის ორმაგ და სამმაგ ფასში გაყიდვით არიან დაკავებული, ეს კი აზარალებს როგორც ქვეყნის, ისე - მოქალაქეების ინტერესებს.

აკაკი მისთვის დამახასიათებელი პირუთვნელობით მსჯელობს საკითხზე და ხშირად საკმაოდ მკვახე ტონითაც გამოხატავს საკუთარ პოზიციას. ერთი შეხედვით, შეიძლება შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ პოეტი განზრახ ამუქებს ფერებს, რითაც ანტისემიტურ განწყობას აღვივებს მკითხველებში. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო მიიჩნია ნიკო ნიკოლაძემ საჭიროდ, რომ გაზეთის მომდენო ნომერში („დროება“, 1871, #32) გამოექვეყნებინა სტატია „ურიების მდგომარეობა საქართველოში“ - შენიშვნა აკაკი წერეთლის „ცხელ-ცხელ ამბებზე“. ავტორი, მართალია, გაცილებით შერბილებული სახით, მაგრამ მაინც ადასტურებს ყველაფერს, რასაც აკაკი ამბობს; ასევე, სრულიად ეთანხმება იგი პოეტს იმ საკითხშიც, რომ სიტუაციის გამოსწორება შესაძლებელია, თუმცა ამას ებრაელები საზოგადოებისა და ხელისუფლების დახმარების გარეშე ვერ მოახერხებენ.

როგორც აღვნიშნეთ, სტატიაში „ცხელ-ცხელი ამბები“ აკაკის დამოკიდებულება ებრაელების მიმართ საკმაოდ კრიტიკულია და ტენდენციურის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ თუ ებრაელი ეთნოგრაფისა და მოგზაურის, იაკობ ჩორნის პუბლიკაციებს გავეცნობით, ვნახავთ, რომ ისიც თითქმის ზუსტად იმავე საკითხებზე აკეთებს აქცენტს. ასე, მაგალითად, იაკობ ჩორნი 1869 წელს გამოცემულ ნაშრომში „Горские еврей“ ებრაელთა უუფლებობასა და ხელისუფლების მხრიდან დაუცველობასთან ერთად მათი უბედურების მთავარ მიზეზზე - გაუნათლებლობაზე საუბრობს.იაკობ ჩორნის მიჩნევა მიკერძოებულ პიროვნებად შეუძლებელია. მისი და აკაკი წერეთლის დაკვირვებები პრაქტიკულად იდენტურია; მსგავსია

სიტუაციის დადებითი კუთხით შეცვლის ერთადერთი გზაც - განათლების მიღება. სწორედ ამ საქმიანობას ეწეოდა „ებრაელთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც საქართველოში წარმმომადგენლობა არ ჰქონდა და, შესაბამისად, ამ საკითხზე ადგილობრივ ინტელიგენციას უნდა ეზრუნა.

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, გაზეთი დროება, იაკობ ჩორნი

XIX ს. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ხალხების ყოფა არ იყო სახარბიელო, მაგრამ ებრაელთა მდგომარეობა ამ მხრივ კრიტიკას ვერ უძლებდა: იმის გამო, რომ სრულიად უფლებააყრილნი და საზოგადოებისაგან ერთგვარად გარიყულნი იყვნენ, ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა სახის აგრესიის მსხვერპლნიც ხდებოდნენ. რუსეთის იმპერიის ფარგლებში ებრაელების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას ისიც უწყობდა ხელს, რომ თავიანთი საქმიანობის (ვაჭრობა - ნ.ფ.) სპეციფიკიდან გამომდინარე, ადამიანები თავიანთ მატერიალურ სიდუხჭირეში მათაც სდებდნენ ბრალს.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც საქართველოში იყო. 1871 წლის აგვისტოში (#31) გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა აკაკი წერეთლის ფელეტონი „ცხელ-ცხელი აბები“ („კარგია ჩვენი სოფელი..“.) სტატია, რომელშიც ებრაული საკითხიცაა დაყენებული, თავისთავად აქტუალურ პრობლემას - ვაჭრობისა და კომერციის არსის არასწორ გააზრებას ეხება. ავტორი ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებს, რომ ჩვენში არ ესმით, რას ნიშნავს „საზოგადო შრომა, საზოგადო სარგებლობა“. რასაკვირველია, დასაძრახი არ არის „კერძოთ შეძენას“ რომ ცდილობენ ადამიანები და ამისათვის ძალისხმევას არ იშურებენ, მაგრამ მწერლის დაკვირვებით, ***„შრომა მაშინ არის საზოგადოდ საქები და შეძენაც მოსაწონი, თუ რომ მუშაობითა და შეძენით კაცი სხვასაც რამესა სძენს და თუ არა, სხვას მაინც არას აკლებს და ჩვენში კი შეძენას ადგილობრივი ხასიათი აქვს. ე.ი. თუ არ სხვას დაკლებია, ისე შეძენა მოუხერხებელია“*** [წერეთელი, 1960:89-90]. აკაკის მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით ყველაზე არასწორად ჩვენში ვაჭრობის საქმეა დაყენებული: ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი საქონელი უცხო ქვეყანაში გაიტანონ, უცხოეთიდან კი რაიმე სასარგებლო შემოიტანონ, ჩვენებული ვაჭრები და, კერძოდ, ებრაელები, სრულიად უსარგებლო და უხარისხო საქონლის ორმაგ და სამმაგ ფასში გაყიდვით არიან დაკავებული. ისინი ***„საწყალ ხალხს ტყავს აძრობენ: აბაზის საღირალში მანათს ართმევენ და სინიდისიც წმინდა აქვსთ ამიტომ, რომ თუ სხვა გვარი ვაჭრობა მოხერხდება, ის არ შეუძლია მათს გონებას წარმოიდგინოს“*** [წერეთელი, 1960:90].

აკაკი მისთვის დამახასიათებელი პირუთვნელობით მსჯელობს საკითხზე და ხშირად საკმაოდ მკვახე ტონითაც გამოხატავს საკუთარ პოზიციას: ***„საზოგადოთ იმერეთში და***

,რასაკვირველია ქუთაისშიაც ისე უსარგებლო და მავნებელი ხალხი არა ვინ ჰყავს, როგორც ურიები: არა ვითარი მოხელობა მათის ხელიდამ არ გამოვა და არც ცდილობენ ისწავლონ, ეგენი არიან სწორეთ მკბენარი საზოგადოებისათვის; მათი ხელობა მხოლოდ ის არის, რომ ქალაქს გარეთ დაიარებოდენ, სოფლის ხალხს, ქალაქში მომავალს მოტყუებით გამოგლიჯონ ხელიდამ რაც რამ მოაქვს გასასყიდი, დაბრუნდნენ თვითონ და აბაზად ორი აბაზი აიღონ. ამ გვარად იმ ურიების წყალობით ერთი ორათ მეტი ფასი ძევს ქუთაისში ყოვლის ფერს. გამყიდველებიც ზარალში არიან და მყიდველებიც. ეს დალალები კი მსუქდებიან. მაშინ როდესაც მათი შუა მავლობა არავისთვის საჭირო არ არის! სწორეთ გაჭირვებაშია ქუთაისი მათგან . . სხვა მხრითაც მავნებელნი არიან ეს ურიები ქუთაისისათვის. სულ თავი და უპირველესი ადგილი უჭირავთ, არც არა ფერს მიწის მოსავალს და არც ტივებს არ შემოუშვებენ ქუთაისში. უჭირამთ ერთი ნაჭერი მიწა, მრავლდებიან და ისევ იქ ესახლებიან. არც ადგილებს იმეტებენ სყიდვით და არც სხვაგან გადადიან. წარმოიდგინეთ, რომ იმ ადგილზედ, რომელიც ადრე ოცსა და ოცდა ათს მოსახლეს ეჭირა, ახლა ზედ ხუთასი მოსახლე სდგას, და რა ვიწროება, უწმინდურობა და სიმყრალე იქნება. მომავლისათვისაც, რასაკვირველია, ამ ხალხის განმარავლებასთან უფრო უარესობაც იქნება: სხვა და სხვა სნეულება, თუ კი რამ შემოვა ქუთაისში, პირველად მათგან უნდა დაიწყოს. ასე გასინჯეთ, რომ წმინდა წყალს ვერ ამოიღებენ რიონიდამ დანარჩენი მცხოვრებლები, ისე გაუწმინდურებულია ურიების წყალობით" [წერეთელი, 1960:94]. ერთი შეხედვით, შეიძლება შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ პოეტი განზრახ ამუქებს ფერებს, რითაც ანტისემიტურ განწყობას აღვივებს მკითხველებში. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო მიიჩნია ნიკო ნიკოლაძემ საჭიროდ, რომ გაზეთის მომდენო ნომერში („დროება", 1871, #32) გამოექვეყნებინა სტატია „ურიების მდგომარეობა საქართველოში" - შენიშვნა აკაკი წერეთლის „ცხელ-ცხელ ამბებზე". ავტორი, მართალია, გაცილებით შერბილებული სახით, მაგრამ მაინც ადასტურებს ყველაფერს, რასაც აკაკი ამბობს; ასევე, სრულიად ეთანხმება პოეტს იმ საკითხშიც, რომ სიტუაციის გამოსწორება შესაძლებელია, თუმცა ამას ებრაელები საზოგადოებისა და ხელისუფლების დახმარების გარეშე ძნელად გაართმევენ თავს.

აკაკი ფიქრობს, რომ თუ ამ ეტაპზე ებრაელებისაგან ქუთაისს და, ზოგადად, იმერეთს, არათუ არავითარი სარგებლობა არ აქვს, პირიქით ზიანიც ადგება, ვინაიდან ეს ხალხი მატერიალურ დოვლათს არ ქმნის, ვაჭრობის ნაცვლად გადამყიდველობით მდიდრდება, ერთგვარი კასტური ცხოვრების წესი აქვს - განცალკევებით და მეტისმეტად მჭიდროდ ცხოვრობენ, რაც, ერთი მხრივ, სხვადასხვა ინფექციური სნეულების სწრაფ გავრცელებასა და, მეორე მხრივ, გარემოს (კერძოდ, სასმელი წყლის - ნ.ფ.) დაბინძურებას უწყობს ხელს.

აკაკის აზრით, მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს, რომ ებრაელები საზოგადოების სასარგებლო ნაწილად იქცნენ და თავიანთი შესაძლებლობების სრულფასოვნად რეალიზება შეძლონ - ეს არის განათლების მიღება: ***„სხვა საშუალება აღარა რჩება რა, თუ განათლება არ შემოვიდა თვითონ ურიებში, მაგრამ რა რიგია, რომ არა ჰსურსთ მამებს შვილების გამოზდა; გამგებისად სცდილობენ, რომ შვილებს არა ასწავლონ რა ...“*** [წერეთელი, 1960:94].

სწორედ ებრაელების შესახებ მსჯელობისას ახსენებს აკაკი „იტალიანის საზოგადოებიდან გამოგზავნილ მოგზაურ იაკობ ჩორნიას“. ჩვენ დავინტერესდით ამ ადამიანის ვინაობით და აღმოჩნდა, რომ საუბარი იყო ვინმე იოსებ-იუდა ბენ იაკობ ჩორნიზე, მეცნიერზე, რომელმაც მთელი 10 წელი შეალია ე.წ. მთიელ ებრაელთა ცხოვრების შესწავლას. მას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმია ქუთაისელი ებრაელებისათვის.

იაკობ ჩორნი აქტიურად თანამშრომლობდა პერიოდულ პრესასთან და ებრაული გამოცემებში - «Ha-Maggid», "Ha-Karmel", "Ha-Meliz", «Neueste Post» - ხშირად ქვეყნდებოდა მისი სტატიები. ავტორი მათში საუბრობდა იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, რომელშიც ებრაელები ცხოვრობდნენ; მათ უუფლებობასა და განათლების უქონლობაზე. იაკობ ჩორნი ცდილობდა მოწინავე ინტელიგენციის ყურადღება მიექცია ებრაული საკითხისათვის, რათა მცირედით მაინც გაუმჯობესებულიყო ებრაული თემების მდგომარეობა. მან მოახერხა და მოიპოვა კავკასიის მაშინდელი ნამესტნიკის, დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის მხარდაჭერა და მისგან მიიღო დოკუმენტი, რომლის ძალითაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებულნი იყვნენ მისთვის დახმარება და თანადგომა გაეწიათ.

1869 წელს იაკობ ჩორნიმ შეგროვილი მასალის ერთი ნაწილი გამოაქვეყნა სათაურით „მოკლე ისტორიული ცობები მთიელი ებრაელების შესახებ“. დასანანია, რომ იმ მასალის დიდი ნაწილი, რომელიც ქართველი და, კერძოდ, ქუთაისელი ებრაელების ცხოვრებას შეეხებოდა, გამოუქვეყნებელი დარჩა, ხოლო რევოლუციის პერიოდში კი უკვალოდ გაქრა, მაგრამ იგი რომ ნამდვილად იმყოფებოდა საქართველოში, ამას აკაკი წერეთლის პუბლიცისტური სტატიაც ადასტურებს. ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც ჩანს, აკაკის მთლად ზუსტი ცნობები არ ჰქონდა ამ ადამიანზე, რადგან სინამდვილეში საზოგადოება, რომელსაც იაკობ ჩორნიმ დახმარებისათვის მიმართა და რომლის გაცემული სარეკომენდაციო წერილების საფუძველზეც შეძლო მართლაც კოლოსალური სამუშაოს ჩატარება უმძიმეს პირობებში, იტალიური კი არა რუსული გახლდათ. კერძოდ, ეს იყო „რუსეთში მცხოვრებ ებრაელთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“ („Общество для распространения просвещения между евреями в России“). ხსენებული ორგანიზაცია სანკტ-

პეტერბურგში 1863 წელს დაარსდა. ინიციატორები და შუამდგომლობის წარმდგენნი ე. გინცბურგი, ა. ბროდსკი და ლ. როზენტალი იყვნენ. ამავე წლის 17 დეკემბერს საზოგადოების პირველი კრება შედგა.

არსებობის პირველ ათწლეულში საზოგადოება ძირითადად საგამომცემლო საქმიანობით იყო დაკავებული. ერთ-ერთი პირველი პროექტი, რომელიც მან განახორციელა, იყო მოსეს ხუთწიგნეულის რუსულენოვანი გამოცემა. საზოგადოება ასევე ამარაგებდა წიგნებითა და სხვა სასწავლო ნივთებით სკოლებსა და ბიბლიოთეკებს; ასევე, აფინანსებდა ნიჭიერი ახალგაზრდების განათლებას. ფინანსურად საზოგადოებას ძირითადად უზრუნველყოფდნენ ბარონები ე. გინცბურგი და ლ. როზენტალი. დაარსებიდან რამდენიმე წელში საზოგადოებამ გახსნა განყოფილებები ოდესაში (1867), რიგაში (1898), კიევში (1903) და ა. შ. 1909 წლისთვის იმპერიის მასშტაბით 30-მდე განყოფილება არსებობდა; ორგანიზაცია ძალზე მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა; 1911 წლისთვის საზოგადოება, რომელსაც მართავდა 12 კაციანი კომიტეტი, 5800 წევრს ითვლიდა, საერთო კაპიტალი კი იმ დროისათვის უზარმაზარ თანხას - 1 მილიონ რუბლს შეადგენდა. რევოლუციის შემდეგ, პირველ რიგში საზოგადოების პეტროგრადის განყოფილება დაიხურა, პერიფერიული ორგანიზაციები კი დაახლოებით 1920 წლამდე ფუნქციონირებდნენ.

გარდა ეშგგ საზოგადოებისა, იაკობ ჩორნი უცხოეთში მცხოვრებ გავლენიან ებრაელებთანაც ცდილობდა დაკავშირებას; კერძოდ, მიწერ-მოწერა ჰქონდა იტალიელ სამეელ ლუცატოსთან, გერმანელ ადოლფ კრემიესა და სხვებთან. შესაძლოა, სწორედ ამ გარემოებამ აფიქრებინა აკაკის, რომ იაკობ ჩორნი საზღვარგარეთ არსებული ორგანიზაციის წევრი იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტატიაში „ცხელ-ცხელი ამბები“ აკაკის დამოკიდებულება ებრაელების მიმართ საკმაოდ კრიტიკულია და ტენდენციურის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ თუ ზემოხსენებული იაკობ ჩორნის პუბლიკაციებს გავეცნობით, ვნახავთ, რომ ისიც თითქმის ზუსტად იმავე საკითხებზე აკეთებს აქცენტს. ასე, მაგალითად, იაკობ ჩორნი 1869 წელს გამოცემულ ნაშრომში „Горские еврей“ ებრაელთა უუფლებობასა და ხელისუფლების მხრიდან დაუცველობასთან ერთად მათი უბედურების მთავარ მიზეზზე - გაუნათლებლობაზე საუბრობს. იგი მიიჩნევს, რომ რაკი ებრაელებს არ აქვთ განათლება და, შესაბამისად, საშუალება იმისა, რომ რაიმე სპეციალობით იმუშაონ, ამიტომაც იძულებული არიან, ჩარჩ-ვაჭრობით, კლიენტის მოტყუებით გავიდნენ ფონს. იაკობ ჩორნი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ თვით ის ახალგაზრდებიც კი, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა ქალაქში იყვნენ წასულები, რათა ესწავლათ და მერე რაბინის წოდება მიეღოთ,

რეალურად ისეთივე უცოდინრები ბრუნდებიან უკან, როგორებიც წავიდნენ, რადგან განათლების მისაღებად არც რუსული ენა იციან და არც საბაზისო ცოდნა გააჩნიათ. მათ მხოლოდ საბუთის აღება სურთ, რასაც სხვადასხვა გზებით აღწევენ კიდეც.

ნარკვევში იაკობ ჩორნი ყურადღებას ამახვილებს ებრაელთა მაშინდელი ყოფისათვის დამახასიათებელ ანტისანიტარიაზე. მისი აზრით, ესეც გაუნათლებლობის პირდაპირი შედეგია, რამდენადაც მათთვის უცნობია ჰიგიენის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ინფექციურ სნეულებათა გავრცელების მექანიზმი. იაკობ ჩორნის თქმით, მართალია, ებრაელები სტუმარს ყოველთვის გულუხვად უმასპინძლდებიან, მაგრამ ევროპულად გაზრდილი ადამიანისათვის მათთან ერთად სუფრაზე დაჯდომა შეუძლებლად მიაჩნია - ჭურჭელი, როგორც წესი, არ ირეცხება; ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ოჯახში აქვთ დანა-ჩანგალი, კერძს მაინც ყველა ხელით ეხება, ანაწევრებს და ისე მიირთმევს. მეცნიერის დაკვირებოთ, კიდევ უფრო საგანგაშო ხასიათს იღებს ვითარება, როცა ვინმე ავად ხდება; ნაცვლად იმისა, რომ გარეშე პირებმა მასთან კონტაქტს შეძლებისდაგვარად თავი მოარიდონ, პირიქით: ინტენსიურად იწყებენ ავადმყოფის მონახულებას და ორიოდ დღეში პრაქტიკულად მთელი დასახლება დასნებოვნებულია.

იაკობ ჩორნის მიჩნევა მიკერძოებულ პიროვნებად შეუძლებელია. როგორც ვხედავთ, მისი და აკაკი წერეთლის დაკვირვებები პრაქტიკულად იდენტურია; მსგავსია სიტუაციის დადებითი კუთხით შეცვლის ერთადერთი გზაც - განათლების მიღება. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ცდილობდა ზემოთ ხსენებული „ებრაელთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“, თუმცა საქართველოში მათ თავიანთი წარმომადგენლობა არ ჰქონიათ და, შესაბამისად, ამ საკითხზე ადგილობრივ ინტეიგენციას უნდა ეზრუნა.

უნდა ითქვას, რომ ამ საზოგადოებამ უზარმაზარი სამსახური გაუწია იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ებრაელებს, დაეხმარა მათ არა მარტო განსთლების მიღების კვალობაზე საზოგადოების სრულუფლებიან წარმომადგენლებად ქცევაში, არამედ ხელი შეუწყო მათ კულტურისა და ტრადიციების დაცვა-შენარჩუნებას. ჩვენი აზრით, შესაძლოა, სწორედ ამ საზოგადოების კეთილისმყოფელი ზეგავლენის კვალობაზე გაჩნდა ქართველ მამულიშვილებში მსგავსი საზოგადოების შექმნის იდეა, რომელიც XIX ს. 80-იან წლებში განხორციელდა და რომელსაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელით ვიცნობთ..

ლიტერატურა:

1. **წერეთელი ა.,** თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XI. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1960.
2. Черный И., Немирович-Данченко В., Анисимов И.. Кавказские евреи-горцы. Сборник - М.: Центрполиграф, 2017 . - 318 с.
3. „დროება“, 1871, #32.

Nana Pruidze

University of Georgia

Akaki about Jewish matter, who was Jacob Chorni?

Abstract

In August of 1871 in newspaper “Droeba” (#31) was published Akaki’s article “Hot news” (“Our village is good...”), in which he arose Jewish matter and he also mentions popular issue in that time – wrong understanding of trade and commerce.

Author directs attention to the circumstance, that trade and commerce is wrongly understood by us: Instead of exporting local goods in foreign countries, and importing useful stuff, local merchants, particularly Jewish ones, are busy selling totally useless things two and three times higher price and this way damage interests of both country and citizens.

Akaki discusses this topic very directly and unbiased, and sometimes he is being very harsh when it comes to expressing his position, which is very typical of him. At a glance, one may think that the poet tries to show everything in darker colors on purpose and by that he gives readers anti-Semitic emotions. Supposedly that was the reason why Niko Nikoladze decided to publish an article called “State of Jews in Georgia” – remark on Akaki’s “Hot News” in next edition of newspaper (“Droeba”, 1871, #32). Author agrees with Akaki in everything, but in much softer way; He also agrees with him that it is possible to improve the situation but only Jewish people cannot manage it without any help from society and authorities.

As we mentioned, in article “Hot news” Akaki’s attitude towards Jewish people is very critical and sounds biased, but if we look through publications of Jewish ethnographer and traveler Jacob Chorni, we will see that he mentions almost exactly the same topics. For instance, in his work „Горские еврей“ published in 1869, Jacob mentions not only absence of civil rights and no protection from Authorities of Jewish people, but their main problem – lack of education. No one can consider Jacob

Chorni as a biased person. Observations of him and Akaki Tsereteli are practically identical; so is their solution of the problem – getting education. This is what “Society for the Spreading of Education among Jews” was doing at that time, but it did not have a representation in Georgia and this had to be fixed by local intellectuals.

რეცენზენტი: პროფესორი თამარ ახვლედიანი